აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №9

23/12/2022 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა №1 დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის 23- ე და 24-ე სტრიქონები 2023 წლის 9 იანვრიდან ჩამოყალიბდეს №2 დანართის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულება.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი